თემა: შესაბამისობა

საგანი: მათემატიკა	**კლასი:** მესამე
მასწავლებელი: ნესტან ბერიძე	**მოსწავლეთა რაოდენობა –** 16 **მათ შორის სსსმ –** 1 მოსწავლე

დრო:

საკთხის სწავლებას დასჭირდება ერთი გავეთილი, მეორე გაკვეთილზე შემოწმდება საშინაო
დავალება, რის საფუძველზეც დადგინდება რამდენად გაიგეს მოსწავლეებმა შესასწავლი თე

ერთი გაკვეთილი – 45 წთ. + 15 წთ.

გაკვეთილის ძირითადი მიზანი:

საგნებს შორის, ან საგნებსა და მათ ატრიბუტებს შორის **შესაბამისობის აღწერის** უნარის განვითარება; **შესაბამისობის წარმოდგენა ცხრილით, წინასახის პოვნა** – ყველა იმ **ელემენტის დასახელება,** რომელსაც მითითებული შესაბამისობით მოცემული საგანი შეესაბამება.

სწავლის შედეგები:

მოსწავლეს **განუვითარდება** საგნებსა და მათ ატრიბუტებს შორის **შესაბამისობის აღწერის უნარი; შეძლებს** შესაბამისობის წარმოდგენას ცხრილით, **იპოვის** წინასახეს და **დაასახელებს** ყველა იმ ელემენტს რომელსაც მითითებული შესაბამისობით მოცემული საგანი შეესაბამება.

მათ.III.6. მოსწავლეს შეუძლია საგნებს შორის ან საგნებსა და მათ ატრიბუტებს შორ
მოცემულიშესაბამისობისგავრცობა, გამოსახვა და გამოკვლევა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ანალოგიის ან წინასწარ მოცემული წესის მიხედვით განავრცობს მოცემული მარტივი შესაბამისო ფრაგმენტს;
- სიტყვიერად მოცემული შესაბამისობის მიხედვით ავსებს მოცემულ ცხრილს;
- ცხრილის საშუალებით გამოსახული შესაბამისობისათვის პოულობს მითითებული ელემენტის წ სახეს;

.III.8. მოსწავლეს შეუძლია გეომეტრიული ფიგურის ამოცნობა და აღწერა

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- იყენებს გეომეტრიულ ფიგურის წვეროების ასოით აღნიშვნებს ფიგურის ელემენტე დასახელებისას.

მუხლი 48. ეროვნული სასწავლო გეგმის პრიორიტეტული გამჭოლი კომპეტენციები

- რაოდენობრივი წიგნიერება.

საჭირო წინარე ცოდნა და უნარ-ჩვევები:
მოსწავლეს შეუძლია საგნების კლასიფიცირება. მარტივი ცხრილების ჩახაზვა. ცნობს სივრცით გეომეტრიულ ფიგურებს.

მოსწავლეთა დაჯგუფების ფორმები:
I ფაზა: „წინასწარ“ – მთელი კლასი (ინტერაქტიული და ინდივიდუალური)
II ფაზა: „განმავლობაში“ – მთელი კლასი (წყვილებში და ჯგუფებში)
III ფაზა: „შემდეგ“ – მთელი კლასი (ჯგუფებში)

დაჯგუფების კრიტერიუმები:
ერთი ჰომოგენური ჯგუფი (შედგება მოსწავლეებით რომელთა მზაობა მოლოდინზე დაბალია, ერთი სსსმ მოსწავლე) და სამი ჰეტეროგენური ჯგუფი (მოსწავლეები, რომელთა მზაობა მოლოდინის შესაბამისი და მოლოდინზე მაღალია)

წინასწარი შეფასება:

წინასწარი შეფასებითა და საშინაო დავალების ელექტრონულ ცხრილებში გადატანით განვსაზღვრავ დაბალი მზაობის მოსწავლეებს და გავაერთიანებ ჰომოგენურ ჯგუფში. დანარჩენ მოსწავლეებს კი დავტოვებ ჰეტეროგენული ჯგუფების სახით.

საჭირო მასალა:

დაფა, ცარცი, სახელმძღვანელო მათემატიკა III კლასი (გ.გოგიშვილი, თ.ვეფხვაძე, ი.მებონია, ლ.ქურჩიშვილი), სახაზავი, ფანქარი, მარკერი, წებო, თაბახები A3 ფორმატის, პოსტერები, გამოსახულებები, სურათები და სიტყვების ბარათები, საღებავები.

აქტივობის ეტაპები:

I „წინასწარ“

შემამზადებელი საშინაო დავალება გაირჩევა მთელ კლასთან ერთობლივი ინტერაქციის მეთოდით. ზოგიერთი მოსწავლე წარმოადგენს თავის დავალებას. ვაკვირდები მოსწავლეების ჩანაწერებს, მათ მიერ მოძიებული ინფორმაცია რა სახით არის წარმოდგენილი, გავამახვილებ ყურადღებას თუ ვინმეს ცხრილების სახით ექნება ჩანაწერი გაკეთებული.

1) აქტივობა: 15 წთ.

<u>განწყობის შესაქმნელად</u> და მოსწავლეთა მზაობის შესამოწმებლად, მოსწავლეებს ბუკებში ვუგზავნი პრეზენტაციას



II „განმავლობაში“

2) აქტივობა: 5წთ.

მოსწავლეებს ვურიგებ წყვილებში ბარათებს გამოსახულებებით. ვთხოვ შეუსაბამონ პასუხები და ჩააკრან ცხრილში. შემდეგ მოსწავლეები აკეთებენ პრეზენტაციას და ამოწმებენ პასუხებს.

დაბალი მზაობის მოსწავლეებს:
ვაძლევ გამარტივებულ გამოსახულებებს და ვეხმარები შესაბამისობის დადგენაში.

სსსმ მოსწავლეს:
ვაძლევ ბარათებზე ციფრებს და შესაბამისი სურათებით. ვთხოვ ბარათები შეუსაბამოს ერთმანეთს და ჩააკრას ცხრილში.

3) აქტივობა: 10წთ.

ჯგუფებში ვარიგებ პოსტერებს სადაც უნდა ჩახაზონ მარტივი ცხრილი. პოსტერებზე მითითებულია თუ რა ჯგუფის სიტყვები და სურათები უნდა

III "შემდეგ“

4) აქტივობა: 5წთ.

პოსტერზე მოცემულია ცხრილი, რომლის ერთ სვეტში განთავსებულია სურათები, მზე, ხე, წვიმა, ვაშლი.

საგანი	ფერი
	

სადაც <u>პირველ სლაიდზე</u> მოცემულია ცხრილი, რომელშიც არეულია ცხოველები და მწერები. მოსწავლეებს ვთხოვ დაალაგონ მოცემულ ცხრილში მწერები და ცხოველები შესაბამის სვეტებში. <u>მეორე სლაიდზე</u> უკვე მოცემულ მზა სვეტში მოსწავლეებმა უნდა ჩაწერონ საშინაო დავალების დროს მომზადებული შესაბამისობა „ცხოველები და მათი ნაშიერები“ <u>მესამე სლაიდზე</u> მოცემულ ცხრილში მოსწავლეებმა უნდა ჩაწერონ მათი ოჯახის წევრები და შეუსაბამონ ასაკი. **მიზანი:** ამ აქტივობით მოსწავლეებს შეექმნებათ წარმოდგენა როგორ გაანაწილონ საგნები მარტივ ცხრილში შესაბამის სვეტებში. **რესურსი:** მოსწავლეთა მიერ შესრულებული საშინაო დავალება, ბუკი, მასწავლებლის ლეპტოპი, პრეზენტაცია PowerPoint-ში .	განათავსონ მოსწავლეებმა. ყოველ ჯგუფს ვაძლევ სიტყვებს მაგრამ სიტყვები არეულია. მოსწავლეებმა ყოველ ჯგუფში თავად უნდა შეარჩიონ მათი პოსტერისთვის სიტყვები იცემული თემის მიხედვით, შეიძლება ზოგიერთი სიტყვ მეზობელ ჯგუფებში მოხვდეს, ამიტომ მოსწავლეებმა უნდა მიმართონ ერთმანეთს თხოვნით და მათთვის საჭირო სიტყვები მოიძიონ. სიტყვების მოძიების შემდეგ მოსწავლეები მაგიდაზე ერთად მოთავსებულ სურათებში ირჩევენ მათთვის საჭიროს და აკრვენ ცხრილში. გუნდებს შორის გამოვლინდება გამარჯვებული : რომელი გუნდიც შეასრულებს დავალებას სწორად მოკლე დროში. გამარჯვებულ გუნდს პოსტერზე დავუკრავ სტიკერს. 	ყოველი ჯგუფიდან ვიძახებ დაფასთან თითო მოსწავლეს და ვთხოვ შეუსაბამონ ყოველ საგანს რომელიმე ერთი ფერი. შემდეგ ვიძახებ ჯგუფებიდან მეორე წევრებს და მათაც ვთხოვ იგივე საგნებს შეუსაბამონ სხვა ფერბი თუ შეესაბამება. მესამე წევრები შეუსაბამებენ ფორმებს, მეოთხე წევრები შეუსაბამებენ თვისებებს. შედეგად მოსწავლეები აღმოაჩენენ, რომ ერთი და იგივე საგანს შეიძლება სხვადასხვა ელემენტი შეესაბამებოდეს. **მიზანი:** მოსწავლეები აღმოჩენის საფუძველზე იპოვიან შესაბამისობის წინასახეს. **რესურსი:** პოსტერი სურათბით და საღებავები. **<u>დავალების მიცემა: 2 წთ.</u>** სახელმძღვანელოში გვ: 21, სავ: 1,2,3. **<u>გკვეთილის შეჯამება: 3 წთ.</u>** **გამსვლელი ბარათები** მოსწავლეებს ვურიგებ ფურცლებს და ვთხოვ ჩაწერონ ● რა შეისწავლეს დღეს გაკვეთილზე? ● როგორ აფასებენ საკუთარ აქტივობას? ● რა გაიგეს? ● რა ვერ გაიგეს? ● როგორ მოეწონათ გაკვეთილი ?

სწავლების შემდგომი შეფასება:
ფასდება: დავალების შესრულება, საგაკვეთილო პროცესში აქტიური ჩართულობა და ცხრილების შევსება განკუთვნილ დროში – სტიკერით სიცილაკი,
დამატებითი რესურსი:
საათი, შუქნიშნის ბარათები,

შეფასების რუბრიკა

„შესაბამისობა“

საშინაო დავალების შესრულება	მოსწავლეს არ აქვს დავალება შესრულებული	მოსწავლემ ნაწილობრივ შეასრულა დავალება	მოსწავლემ დავალება სრულად შეასრულა
სასწავლო პროცესში აქტიური ჩართულობა	მოსწავლე არ ერთვება სასწავლო აქტივობაში	მოსწავლე ნაწილობრივ ერთვება სასწავლო აქტივობაში	მოსწავლე აქტიურად ერთვება ყველა აქტივობაში
ცხრილების შევსება	მოსწავლე ნაწილობრივ პოულობს წინასახეს და ასახელებს ყველა იმ ელემენტს რომელსაც მითითებული შესაბამისობით მოცემული საგანი შეესაბამება, მაგრამ ვერ სვამს ცხრილებში	მოსწავლე ნაწილობრივ პოულობს წინასახეს და ასახელებს ყველა იმ ელემენტს რომელსაც მითითებული შესაბამისობით მოცემული საგანი შეესაბამება და სვამს ცხრილებში	მოსწავლე პოულობს წინასახეს და ასახელებს ყველა იმ ელემენტს რომელსაც მითითებული შესაბამისობით მოცემული საგანი შეესაბამება და სვამს ცხრილებში.

რეფლექსია

მივაღწიე თუ არა მიზანს?	რა დაგვეხმარა მიზნის მიღწევაში?
მიზანს მივაღწიეთ რადგან მოსწავლეებმა • შეძლეს შესაბამისობის აღწერა; • შესაბამისობის წარმოდგენა ცხრილით; • წინასახის პოვნა; • ყველა იმ ელემენტის დასახელება, რომელსაც მოცემული შესაბამისობა შეესაბამება;	მიზნის მიღწევაში დაგვეხმარა • წინარე ცოდნა; • მაღალი მოტივაცია; • მრავალფეროვანი თვალსაჩინოებები;
რამ შემიშალახელი მიზნის მიღწევაში?	**რას შევცვლიდი გაკვეთილს ხელახლა, რომ ვატარებდე?**
თუმცა მიზნს მივაღწიე, მაინც გამოიკვეთა ხელის სემ სლელი ფაქტორები • აქტივობების სიმრავლის გამო ერთი აქტივობა აღარ გამოვიყენე გაკვეთილზე; • დროის სიმცირიე გამო გამსვლელი ბარათების შევსებას სათანადო დრო ვერ დავუთმე;	• შევამცირებდი აქტივობების რაოდენობას; • გამსვლელი ბარათების შევსებას დავუთმობდი მეტ დროს;
გაკვეთილის შეფასება	**გაკვეთილის მნიშვნელობის დასაბუთება**
• გაკვეთილის თემა შეესაბამება ე.ს.გ.-ით გათვალისწინებულ საგნობრივ პროგრამას და გამომდინარეობს სასწავლო პროცესში გამოხატული ინტერესებიდან; • გაკვეთილის თემა,მიზანი და შედეგები ურთიერთშესაბამისობაშია და ეყრდნობა ე.ს.გ.-ს სტანდარტით გათვალისწინეულ შედგებსა და ინდიკატორებს; • გაკვეთლზე გამოყენებული აქტივობები და რესურსები ხელს უწყობს გაკვეთილის მიზნის მიღწევას.	<u>რა ისწავლეს?</u> • მოსწავლეებმა ისწავლეს შესაბამისობის აღწერა, ცხრილის სახით წარმოდგენა, წინასახის პოვნა და შესაბამისობის ყველა იმ ელემენტის პოვნა, რომელსაც მოცემული შესაბამისობა შეესაბამება; <u>რა უნარები შეიძინეს?</u> • ურთიერთთანამშრომლობის, • აქტიური მოსმენის, • კეთებით სწავლის უნარი; • თვითშეფასება; • ურთიერთშეფასება; <u>დამოკიდებულება</u> • ურთიერთმოსმენა; • სხვისი აზრის პატივისცემა;

მასწავლებელი	**ნესტან ბერიძე**